კორნელი სანაძე

1907-1985

თბილისის ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, სახვითი ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდა 1922 წელს შევიდა მოსე თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიაში, სადაც სწავლობდა 1924 წლამდე. ამავე წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. აქ სამხატვრო ხელოვნებას ეუფლებოდა შესანიშნავი რუსი მხატვრების ე. ლანსერესა და ი. შარლემანის, საქართველოს სახალხო მხატვრის გიგო გაბაშვილის, მხატვარ ეღიშე თათევოსიანი ხელმძღვანელობით. 1934 წლიდან იგი ფერწერას ასწავლიდა აკადემიაში. კორნელი სანაძე იყო 1830 წლის 8 თებერვალს დაარსებული საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა საზოგადოების-"სარმას" ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. 1924 წლიდან სანაძე უკვე ყველა რესპუბლიკური გამოფენის მონაწილეა, ენერგიულად მუშაობს მხატვართა ასოციაციებში, მხატვართა კავშირის გამგეობებში. მუშაობდა თეატრისა და კინოს მხატვრობაში და გაფორმებული აქვს არაერთი თეატრალური თუ საოპერო დადგმა. მნიშვნელოვანია კორნელი სანაძის, როგორც პედაგოგის როლი, ახალგაზრდა ქართველ მხატვართა აღზრდასა და ჩამოყალიბების საქმეში. მისი მოსწავლეები იყვნენ გამოჩენილი მხატვრები: გ. თოიძე, გ. თოთიბაძე, გ. ჯაში და სხვები. კორნელი სანაძის ნამუშევრები გამოფენილია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში, შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მუზეუმში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, აჭარის ავტონომიურ მუზეუმში, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო მუზეუმში.

Korneli Sanadze

1907-1985

After Graduating Tbilisi Economical Institute, in 1922 young Korneli Sanadze started classes in Mose Toidze Public Art Studio. In 1924 he entered Tbilisi State Academy of Fine Arts, where he attended lectures of E. Lancere, I. Sharleman, G .Gabashvili, E, Tatevosian. From 1934 he started teaching painting in the same Academy. Korneli Sanadze was one of the founders and leaders of the Georgian Revolutionary Artists Society – SARMA. From 1924 actively takes part in all group exhibitions of Georgia. He worked in Theater and Cinema Art, and has created many valuable stage and costume design for opera and theater performances around Georgia. Korneli Sanadze played important role as the pedagogue in the development of the future generation of artists. His students were: G. Toidze, G. Totibadze, G. Jashi and others. His works are preserved in State Museum of Literature, State Museum of Sh. Rustaveli Theater, Museum of Theater Institute, Z. Paliashvili State Opera and Ballet Theater Museum, Achara Art Museum, S. Petersburg State Museum of Fine Arts.